

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი
ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება

სამეცნიერო კონფერენცია
10-11 მაისი, 2023

ემღვნება

ბესარიონ ჯორბენაძის ხსოვნას

თბილისი
2023

კონფერენცია გაიმართება **2023 წლის 10 - 11 მაისს** ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

რეგლამენტი

მომხსენებელს – 15 წთ.

მსჯელობაში მონაწილეს – 5 წთ.

რედაქტორები – **ნანა მაჭავარიანი**
გიორგი გოგოლაშვილი

ტექნიკური რედაქტორი – **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან გრიგოლიასი**

მ უ შ ა ო ბ ი ს გ ე გ მ ა

10 მაისი, 15.00 სთ.

თსუ I კორპ. აუდიტორია № 202

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების მოკლე ანგარიში (1993 – 2023)

- ა. არაბული** – „ფაკულტატიური გრამატიკის“ საკითხები და ნორმატიული პოლიტიკის შინაარსი
- თ. ლომთაძე** – ბესარიონ ჯორბენაძე – ახალი საენათმეცნიერო და ინტერდისციპლინარული მიმართულებების ფუძემდებელი საქართველოში
- ს. ოშიაძე** – ბესარიონ ჯორბენაძე ენობრივი მნიშვნელობების გამო-მხატველ ფაკულტატიურ საშუალებათა შესახებ
- რ. ქურდაძე** – ბესარიონ ჯორბენაძისეული საერთო ეროვნული ენის ცნება – ქართული დიალექტების სრულყოფილი შესწავ-ლის საფუძველი
- გ. გოგოლაშვილი** – დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის ტედენციის შესახებ
- ზ. ფურცხვანიძე** – კორპუსულ მონაცემებზე ორიენტირებული დია-ლექტომეტრია (შესაძლებლობები და მისი გამოყენების სცენარები ქართულში)

მ ო გ ო ნ ე ბ ე ბ ი

11 მაისი, 14.00 სთ.

თსუ I კორპ. აუდიტორია № 202

- მ. ზერიძე** – კუნძულური დიალექტების კვლევის ზოგიერთი ასპექტისათვის – ლინგვისტური სტერეოტიპი და ენობრივი რეალობა
- ც. კვანტალიანი** – ისევ *შე*-ზმნისწინის რამდენიმე ნიუანსის შესახებ
- ზ. კიკვიძე** – ტოლად შერწყმული კომპოზიტები და კომპონენტთა რიგის შექცევადობის პრობლემა ქართულში
- ქ. დათუკიშვილი** – კომპოზიტთა დაწერილობისათვის
- ნ. ლოლაძე** – კომპოზიტები ქართული ენის სახელური ფუძეების ლექსიკონში
- მ. კობაძე** – ზმნის წარმოება ახალნასესხები ძირებისგან თანამედროვე ქართულში ტიპოლოგიური თვალსაზრისით
- მ. ღლონტი** – *წურ*- და *წულ*- ძირ-მორფემათა ფუნქციური სემანტიკისათვის ქართულში
- ნ. ჭუმბურიძე, მ. კიკონიშვილი** – სიმცირის სემანტიკის გამომხატველი ზედსართავი სახელები ქართულში
- ლ. ჩოთალიშვილი, ნ. ხოჭოლაგა-მაჭავარიანი, ნ. ჯორბენაძე, ი. გაგუა** – ტოპონიმია, როგორც ისტორიულ-კულტურული ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა (ასტიონიმი „კუტაია/ქუთაისი“) და საბერძნეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ასპექტები
- ნ. ხოჭოლაგა-მაჭავარიანი, ნ. ახვლედიანი, ქ. რეხვიაშვილი, დ. ახვლედიანი** – საქართველოს ტოპონიმის სწავლებისა და პოპულარიზაციის პერსპექტივები

ავთანდილ არაბული

„ფაკულტატიური გრამატიკის“ საკითხები და ნორმატიული პოლიტიკის შინაარსი

„ფაკულტატიური გრამატიკის“ ცნების დამკვიდრება ქართულ საენათმეცნიერო მიმოქცევაში ბატონი ბესარიონ ჯორბენაძის სახელს უკავშირდება. მეცნიერის განსაზღვრით, „ფაკულტატიური ნიშნავს არაპირითადს, არასავალდებულოს, ანუ: ისეთი ფორმის გამოყენებას ამა თუ იმ ენობრივი მნიშვნელობის გამოსახატავად, რომელიც, ჩვეულებრივ, არ იხმარება ამ მიზნით“.

ბ. ჯორბენაძის სპეციალურ მონოგრაფიაში არაერთი ენობრივი მოვლენა მოექცა ამ ნიშნით განსახილველი საკითხების ნუსხაში. ამავე დროს, მეცნიერმა სცადა ერთმანეთისაგან გაემიჯნა ფაკულტატიურობა და ვარიანტულობა, რადგანაც სრულიად აშკარაა, რომ მათ შორის მუდმივი შეხებისა და გადაკვეთის არეები არსებობს. ყურადღებას იქცევს რამდენიმე შენიშვნა ამ თვალსაზრისით, სახელდობრ:

„მართალია, სალიტერატურო ენის ნორმა შესაძლოა პარალელურ ვარიანტთაგან ერთ-ერთს ამკვიდრებდეს, სხვას კი უარყოფდეს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საკუთრივ ენის თვალსაზრისით დამკვიდრებული ფორმა სავალდებულოა, ხოლო უარყოფილი - არასავალდებულო.“

ენის თვალსაზრისით ორივე „სავალდებულოა“, ორივე კანონზომიერია, ორივე შეპირობებულია ენის შინაგანი შესაძლებლობით, ოღონდ მათგან ერთ-ერთს სალიტერატურო ენა თავისი პრინციპების შესაბამისად ანიჭებს უპირატესობას“.

ვფიქრობთ, აქედან ნათლად იკვეთება ის, რომ ნორმატიული ამოცანები პრინციპულად განსხვავდება გრამატიკული შესაძლებლობების კვლევის ასპექტებისაგან და მათი გაუმიჯნაობა სერიოზულ სირთულეებს ქმნის სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების თვალსაზრისით.

მ ა რ ი ნ ა ბ ე რ ი ძ ე

კუნძულური დიალექტების კვლევის ზოგიერთი ასპექტისათვის – ლინგვისტური სტერეოტიპი და ენობრივი რეალობა

საქართველოს საზღვრებს გარეთ – ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, აზერბაიჯანსა და თურქეთში გავრცელებული ქართული კუნძულური დიალექტების დოკუმენტირება და მეცნიერული კვლევა 100 წელზე მეტს ითვლის. განსაკუთრებით ბევრი გაკეთდა ამ მიმართულებით გასული საუკუნის ბოლოს და უკანასკნელ ოცწლეულში. ფერეიდნული და ინგილოური დიალექტების მასალის დეტალურმა შესწავლამ წარმოაჩინა არაერთი საკითხი, რომლებიც არსებულ ლიტერატურაში ან არაზუსტად არის გაანალიზებული, ან საერთოდ შეუმჩნევლადაა დარჩენილი. ხშირ შემთხვევაში ასეთ უზუსტო აღწერათა და შეფასებათა მიზეზი უნდა იყოს ქართული დიალექტური სისტემისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებათა სტერეოტიპური განზოგადება კუნძულურ მასალაზე.

ქართული დიალექტური კუნძულები სხვადასხვა ტიპოლოგიურ მახასიათებლებს მოიცავენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებმაც მათ ჩამოყალიბებაზე გავლენა იქონია, არის ბირთვული კულტურული არეალიდან იზოლაციის ხარისხი და დომინანტურ და სხვა მეზობელ ენებთან კონტაქტი. ენობრივ (იგივე დიალექტურ) კუნძულებს ერთგვარ კვლევით ლაბორატორიებსაც ადარებენ, რადგან ისინი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავენ არა მხოლოდ ამ კონკრეტული დიალექტის, არამედ მთელი ენობრივი სისტემის შესახებ. „კუნძულური“ ენობრივი მასალის განსაკუთრებულობა განისაზღვრება არა მხოლოდ მასში წარმოდგენილი არქაული ენობრივი ფენის არსებობით ან ენათა კონტაქტების მრავალდონიანი ანაბეჭდით, არამედ იმითაც, თუ რა ალტერნატიული გზები აირჩია მან ამა თუ იმ, საერთო სისტემიდან ჩამოშორების მომენტში ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, ენობრივი კატეგორიის თუ მოვლენის იზოლაციის პირობებში გასავითარებლად.

თანამედროვე დიასისტემური მონაცემების სტერეოტიპული გადატანა კუნძულური მონაცემის აღწერისას შეიძლება სისტემური შეცდომის წყარო გახდეს. მაგალითად, ის რომ რომ ხმოვანფუძიანი სახელი ფერეიდნულში მოქმედებითში -ით// -ით დაბოლოებითაა წარმოდგენილი, მკვლევარს „უკარნახებს“ პარადიგმის სხვა წევრების სტერეოტიპულად აღწერას: სახელობითში -ი// -ი და ნათესაობითში -ს// -ს დაბოლოებით, რაც არ ასახავს რეალურ სურათს – ფერეიდნული „უკვეცილი“ სახელი არ არის ბოლომდე „უკვეცილი“ და პარადიგმაც, რომელიც დიალექტებში ამ მოვლენის აღწერის თანამედროვე „ფორმულით“ არის აღდგენილი, მცდარია.

სწორედ სტერეოტიპული სქემის გავლენით აიხსნება, რომ მეშველზმნიანი ფორმების წარმოების თავსებურება, რომელიც მკაფიოდ იყო ასახული ფერეიდნულის პირველივე მეცნიერულად ჩაწერილ ტექსტებში, სრულიად შეუმჩნეველი დარჩა მკვლევართათვის. სავარაუდოდ იმიტომ, რომ მეშველი ზმნა ფერეიდნულ დიალექტში აქტიურად აწარმოებს სტატიკური ზმნების აწმყოს (ვ-დგავარ) და ერთპირიან ზმნათა მესამე სერიის (მიმღეობის ფუძეზე დაყრდნობილ) ფორმებს (მომკდარვარ), იქმნება შთაბეჭდილება, რომ დიალექტი მთლიანად მიჰყვება მეშველზმნიანი ფორმების წარმოების ქართულ ენაში დამკვიდრებულ მოდელს და ერთგვარად „ინილბება“ ის მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი თავისებურებები, რომლებიც ამ კუთხით იჩენს თავს დიალექტში.

ასევე ყურადღების მიღმა დარჩა მოდალობის გამოხატვის საკითხი ფერეიდნულში, რადგან ეს კატეგორია არ არის ხოლმე ჩართული ქართული დიალექტოლოგიური კვლევების ტრადიციულ აღწერებში.

სტერეოტიპური მიდგომა და თანამედროვე ქართულენოვანი სიტემების აღწერის ტრადიციულად დამკვიდრებული მოდელი გავლენას ახდენს ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის სიღრმისეულ გააზრებაზე და ქართული ენის ორბიტიდან განცალკევებით განიხილავს კუნძულური დიალექტის ბევრ თავისებურებას.

ასეთია, მაგალითად, თხრობითი კილოს ზმნების მყოფადის წარმოების საკითხი ინგილოურში – მიუხედავად იმისა, რომ დიალექტი წარმოადგენს ქართულ ენაში ისტორიულად დამოწმებულ ყველა საშუალებას მყოფადის წარმოებისას, მაინც ერთხმად (სხვა-

დასხვა კატეგორიულობით) არის მითითება მყოფადის მეშველ-
ზმნიანი წარმოების აზერბაიჯანულიდან კალკირებაზე, ხოლო ვ.
ჯანგიძე II კავშირებითის ფორმებით მყოფადის გამოხატვასაც აზერ-
ბაიჯანულის გავლენად მიიჩნევს. ასეთივეა თხოვნითი ბრძანები-
თის აზერბაიჯანულ ნასესხობად გამოცხადება და სხვ.

ამ და სხვა შემთხვევათა ანალიზზე დაყრდნობით მოხსენება-
ში წარმოვადგენთ ენობრივი კუნძულის განსაკუთრებულ თავისე-
ბურებას – ბირთვულ ენობრივ არეალიდან ჩამოშორების პირობებში,
უცხოენოვან გარემოში, ენის შინაგანი პოტენციის განვითარების სა-
კუთარი ალტერნატიული გზის არჩევანით „განაგრძოს ცხოვრება“.
ამ არჩევანზე, ცხადია, დიდ გავლენას ახდენს მეზობელ, განსაკუთ-
რებით, დომინანტურ ენათა ექსპანსია, რომლისგან თავდაღწევის
ერთ გზად კლასიკურ კუნძულებში სალიტერატურო ენაზე სწორე-
ბაა დასახელებული. როცა სამი-ოთხი საუკუნის განმავლობაში ის-
ტორიული სამშობლოსგან (და შესაბამისად, სალიტერატურო ენის-
გან) იზოლაცია თითქმის აბსოლუტურია (ფერეიდნული) ან კონტაქ-
ტი მხოლოდ დიალექტურ ზონასთან იგულისხმება (ინგილოური -
კახურთან), ისიც ფრაგმენტულად, კუნძულური ერთობა თავისი
გზით ავითარებს ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოყალიბებულ ენობრივ
პარადიგმებს. რჩება საკუთარი ენის ორბიტაზე და ამავე დროს, რა-
დიკალურად სცილდება მას.

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის ტენდენციის შესახებ

ბესარიონ ჯორბენაძე „ქართულ დიალექტოლოგიაში“ (ტ I, 1989წ.) წერს: „ამჟამად ინტეგრაციის მძლავრი პროცესი, ზოგი დია-
ლექტური მოვლენის ნიველირების ტენდენცია. ასეთი ვითარება,
ერთი შეხედვით, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მომავალში შესაძლოა
საერთოდ გაქრეს დიალექტური ნაირსახეობანი“ (გვ. 214); იქვე და-
სძენს: „ეს შთაბეჭდილება მოჩვენებითია. გასათვალისწინებელია შე-

უქცევადი ტენდენციაც, რომ მთლიანი, ერთიანი ყოველთვის იჩენს მიდრეკილებას დიფერენციაციისაკენ და ამიტომ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს დიალექტური ნაირსახეობანი ან დიალექტური დანაწევრების პროცესი ცოცხალ ენას როდესმე მოეშლება“ (გვ. 215).

ბ. ჯორბენამე დიალექტური დანაწევრების შენარჩუნების ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობად დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის ტენდენციას მიიჩნევს: „ურთიერთზეგავლენასთან ერთად მომიჯნავე დიალექტებში (ასევე – ერთი დიალექტის კილოკავებში) თავს იჩენს ურთიერთგამიჯვნის (თვითგამიჯვნის) აშკარად გამოხატული ტენდენციაც“ (გვ. 36). ეს ტენდენცია „რეალური ფაქტია. ესაა, ასე ვთქვათ, თავისებური ენობრივი იმუნიტეტის შედეგი. ეს განაპირობებს მათი სამეტყველო თავისთავადობის შენარჩუნებას“ (გვ. 40).

ვფიქრობთ, **ეს არის ბ. ჯორბენამის მიერ შემოთავაზებული უმნიშვნელოვანესი სიახლე, მიგნება ქართულ (და არა მხოლოდ) დიალექტოლოგიაში.**

მკვლევარს რამდენიმე კონკრეტული მაგალითი მოჰყავს დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის ტენდენციის გასააზრებლად: ხევსურული და ფშაური დიალექტებისათვის ხოლმეობითის მწკრივთა წარმოება; ზემო და ქვემო იმერულს შორის -ავ (-ამ) თემისნიშნიან ზმნათა უწყვეტლის წარმოება და სხვ.

ამ ტენდენციის თაობაზე ადრეც გვქონდა საუბარი, მაგრამ დღეს ჩვენ ეს თვალსაზრისი გვინდა წარმოვაჩინოთ, როგორც ქართულ დიალექტოლოგიაში ბ. ჯორბენამის მიერ შემოთავაზებული **უმნიშვნელოვანესი** სიახლე, მიგნება და დამატებითი არგუმენტაციით ვაჩვენოთ ამ მიგნების ჭეშმარიტება.

ქართული ენის აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტებს შორის შეინიშნება მკვეთრი სხვაობა ხმოვანკომპლექსთა ფონეტიკურ პროცესებში: **აუ** კომპლექსი ცვლილებას განიცდის დასავლურ დიალექტებში (**აუ** > **ოუ** > **უუ**...), არ იცვლება აღმოსავლურში. ეს რომ ამ ჯგუფებს შორის დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის ტენდენციის მოქმედების შედეგია, დასტურდება იმით, რომ ფერეიდნულ დიალექტში, რომელიც ფაქტობრივ კახურის განაყოფია, ეს პროცესი (**აუ** > **ოუ**) ფაქტია. ჩვენი დასკვნა ასეთია:

შესაძლებლობა აუ > ოუ პროცესის განვითარებისა არსებობს აღმოსავლურ დიალექტებშიც, მაგრამ მის რეალიზებას ხელს უშლის

დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის ტედენცია; როგორც კი ეს გარემო (დიალექტთა ურთიერთდაპირისპირებისა) შეიცვალა, ფერეიდნელთა მეტყველებაში ამ კომპლექსმა ცვლილება განიცადა (დოუშინა, ჩოუშვეს, დოუფაყირებია, ოუკივლდა, გოუხარდა...). ალბათ იგივე უნდა ითქვას ფერეიდნულში დადასტურებული „კაცმა მოვიდა“ ტიპის გამოთქმებზეც.

ვფიქრობთ, ფერეიდნულში დადასტურებული „დასავლური ტიპის“ მოვლენების ახსნა შეიძლება მხოლოდ დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის ტედენციით; ამავე დროს ეს ფაქტები ბ. ჯორბენაძის მიგნების რეალურობის დამადასტურებელიც არის.

ქ ე თ ე ვ ა ნ დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი

კომპოზიტა დაწერილობისათვის

„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“ კომპოზიტა მართლწერის განხილვისას დასახელებულია მათი მიღების სამი საშუალება: ფუძის გაორმაგება, ორი ან მეტი სხვადასხვა ფუძის შეერთება და ორი სიტყვის შეერთება. მეოთხე ჯგუფად გამოყოფილია კომპოზიტები, რომელთა პირველი წევრი ზმნისართია ან თანდებული.

უნდა აღინიშნოს შემდეგი: კომპოზიტა წარმოების სისტემური აღწერისათვის უმჯობესია ცალ-ცალკე იქნეს წარმოდგენილი დაკავშირიანი და უკავშირო რთული სიტყვები. ფორმათა შეერთებისას ცალკე უნდა განვიხილოთ ის შემთხვევებიც, როდესაც კომპოზიტის ორივე ნაწილში ერთი ფუძე გამოყენებული: ერთადერთი, თავისთავად, ძველისძველი, ბევრადბევრი...

ჩვენი აზრით, აღნიშნული და სხვა საკითხების გასათვალისწინებლად უნდა გამოვყოთ კომპოზიტა სტრუქტურული მოდელები, კერძოდ:

A უკავშირო

B და-კავშირიანი

A უკავშირო კომპოზიტები

ერთი ფუძის მონაწილეობით:

ფუძე + ფუძე (ფუძის გაორმაგება) (თავთავი)

სიტყვაფორმა + სიტყვაფორმა (ერთადერთი)

ფორმაუცვლელი სიტყვა + ფორმაუცვლელი სიტყვა (უკან-
უკან)

სხვადასხვა ფუძის მონაწილეობით

ფუძე + ფუძე (გულუხვი)

სიტყვაფორმა + სიტყვაფორმა (დისშვილი)

ფუძე + ფორმაუცვლელი სიტყვა (ჩემმიერი)

ფორმაუცვლელი სიტყვა + ფორმაუცვლელი სიტყვა (ხვალ-
ზეგ)

ფორმაუცვლელი სიტყვა + სიტყვაფორმა (წინწასული)

სიტყვაფორმა + ფორმაუცვლელი სიტყვა (ნებისმიერი)

B და-კავშირიანი კომპოზიტები

ფუძეგაორმაგებული: პირდაპირ, გულდაგულ, დროდადრო...
წინდაწინ, ხანდახან...

სხვადასხვაფუძიანი: დღედაღამ... ოცდაერთი, ოცდაშვიდი...

ქართულ ენაში ყველაზე აქტიური მოდელია **ფუძე + ფუძე** რო-
გორც გაორმაგების გზით, ისე სხვადასხვა ფუძისგან მიღებულ კომ-
პოზიტებში. მოდელი **სიტყვაფორმა + სიტყვაფორმა** შედარებით ნა-
კლებად გამოიყენება. რაც შეეხება ფორმაუცვლელ სიტყვებს, რო-
გორც ცნობილია, ისინი ენაში მცირე რაოდენობით დასტურდება,
შესაბამისად, მათი მონაწილეობით შედგენილი კომპოზიტებიც რა-
ოდენობრივად ნაკლებია.

კომპოზიტების დაწერილობისას ისმის ორი საკითხი:

1. დეფისით უნდა დაიწეროს კომპოზიტი თუ უდეფისოდ (გულ-გატეხილი თუ გულგატეხილი, ციხე-სიმაგრე თუ ციხესიმაგრე...);
2. ერთ სიტყვად (კომპოზიტად) უნდა დაიწეროს ესა თუ ის სიტყვათშეხამება თუ ცალ-ცალკე (ავის მომასწავებელი თუ ავისმომასწავებელი, გულის ტკივილი თუ გულის-ტკივილი არც ერთი თუ არცერთი და მისთ.).

ეს პრობლემები განაწილებულია მოდელების მიხედვით, კერძოდ: **და-კავშირიანი კომპოზიტები** იწერება ერთად, დეფისის გარეშე. უკავშირო კომპოზიტებში კი გვაქვს შემდეგი შემთხვევები:

თუ რთული სიტყვის პირველი კომპონენტი სიტყვაფორმაა (**სიტყვაფორმა + სიტყვაფორმა** და **სიტყვაფორმა + ფორმაუცვლელი სიტყვა**), მაშინ კომპოზიტი იწერება ერთად, დეფისის გარეშე (ერთადერთი, ქინძისთავი, კირითხურო, ავადმყოფი... ნებისმიერი); ცალკეულ შემთხვევებში გასარკვევია, კომპოზიტია თუ არა მოცემული ერთეული (გულის წუხილი თუ გულისწუხილი).

თუ რთული სიტყვის პირველი კომპონენტი არის ფუძე ან ფორმაუცვლელი სიტყვა (**ფუძე + ფუძე**, **ფუძე + ფორმაუცვლელი სიტყვა**, **ფორმაუცვლელი სიტყვა + ფორმაუცვლელი სიტყვა** და **ფორმაუცვლელი სიტყვა + სიტყვაფორმა**), მაშინ დგინდება წესები, დეფისით უნდა დაიწეროს კომპოზიტი თუ უდეფისოდ: თავთავი, დედ-მამა, გულღია, უკან-უკან, წინწასული და სხვ.

ც ი ც ი ნ ო კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ი

ისევ შე-ზმნისწინის რამდენიმე ნიუანსის შესახებ

შე-ზმნისწინზე სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრი დაწერილა და ალბათ კიდევ ბევრი დაიწერება. შეიძლება ითქვას, ეს ერთერთი მკვეთრად გამოხატული პოლისემიური და ამავე დროს საინტერესო ზმნისწინია.

შე-ზმნისწინის სიტყვაწარმოება ჩვენც სათანადოდ გვაქვს შესწავლილი, მაგრამ გაჩნდა კიდევ რამდენიმე მოსაზრება

შე-ზმნისწინის ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობა მიმართულების აღნიშვნაა. ეს მიმართულება შეიძლება იყოს გარედან შიგნით მიმართული (შე-ვიდა, შე-იყვანა, შე-ანთებს, შე-აღებს), რაიმეს ირგვლივ, გარშემო მოქმედება (შე-იბამს, შე-ირტყამს, შე-ახვევს, შე-ფუთნის), ქვევიდან ზევით მიმართული მოქმედება (შე-ჯდება, შე-

ყრის, შე-აგდებს, შე-ასხამს). ასეთ ზმნებში შე- ზმისწინი რამდენად-მე საზედაო სიტუაციაზე მიანიშნებს.

შე- ზმისწინი ასევე გამოხატავს მოქმედების ოდნაობას, სიცოტავს შე-ათბობს, შე-ასუსტებს, შე-არბილებს, შე-აფერადებს, შე-ალამაზებს, შე-აშველებს და სხვა ზმნებში.

შე- ზმისწინის სხვადასხვა ნიუანსობრივ მნიშვნელობაზე ყურადღება გამახვილებულია სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაში. მოხსენებაში საუბარი იქნება რამდენიმე მათგანზე.

ჩვენ ადრეც აღვნიშნავდით, რომ წინასწარ გამიზნული მოქმედება ივარაუდება შე- ზმისწინიან ზმნებში: შე-უკვეთს, შე-ამზადებს. რა თქმა უნდა, აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზმნური ფუძის სემანტიკასაც.

მოულოდნელობა ივარაუდება შე-ასწრებს, შე-ისწრებს, შე-უსწრებს, შე-ამთხვევს ზმნებში. აქ იგულისხმება გაუთვალისწინებელი შემთხვევა, ფათერაკი.

შე- ზმისწინისათვის დამახასიათებელია ნელ-ნელა, თანდა-თანობით მოქმედების ჩვენებაც. ჩვენ ადრეც აღვნიშნავდით, რომ ბოლოსკენ მოქმედების მიმდინარეობა ჩანს შე-ათავებს ზმნაშიც. შე-ყრის, შე-ჭრის, შე-აგროვებს ზმნებში შე- ზმისწინით გამოიხატება, რომ მოქმედება სივრცეში არის მიმართული. ზოგჯერ სივრცეში მოქმედება გარკვეულ სიმაღლესაც გულისხმობს. მაგ.: შე-ყარა სხვეწზე, შე-დგა სკამზე, შე-უდგა აღმართს. ზოგჯერ ჩანს, რომ მოქმედება იწყება და გრძელდება. შე- ზმისწინს ამ შემთხვევაში მოქმედების დაწყებისა და გრძლივობის, ხანგრძლივობის მნიშვნელობა აქვს: შე-ყარა ხალხი, შე-დგა ბერად, შე-უდგა მუშაობას.

გვერდით მიმართულ მოქმედებას გულისხმობს შე- ზმისწინი: შე-აბრუნებს, შე-ატრიალებს ზმნებში. ასევეა შე-აქცევს ზურგს. ეს არ არის გარშემო მოქმედება, მოძრაობა, მაგრამ გულისხმობს გვერდით მიმართულ მოქმედებას.

შე-ადულებს, შე-არიგებს ზმნებში შე- ზმისწინით გადმოცემულია შეკრების, შეერთების სემანტიკა. ეს აღნიშნულია ქართული ენის მორფემების ლექსიკონშიც.

შე-აყრის სახეში, შე-ანათებს თვალებს, შე-ეტყობა სახეზე - ამ ზმნებში შე- ზმისწინით გამოხატული მოქმედება ხდება პირდაპირ და გულისხმობს ერთგვარ სიბრტყეს.

შე- ზმნისწინით გადმოიციემა მოქმედების შეზღუდვა ან შენე-
ლება. მაგ.: შე-აჩერებს გაქცეულს, შე-იკავებს თავს, შე-აკავებს
მტერს. რა თქმა უნდა, აქ დიდი მნიშვნელობა აქვს ზმნური ფუძით
გადმოცემულ მნიშვნელობასაც, მაგრამ სწორედ შე- ზმნისწინით
გადმოიციემა და კონკრეტდება ეს სემანტიკა.

ხშირად შე- ზმნისწინი გამოიყენება საპირისპირო მოქმედების
ზმნებში. მაგ.: შე-ულოცავს, შე-უკურთხებს, შე-აგინებს, შე-იყვარებს,
შე-ამკობს სიტყვით, შეაქებს. ამ ზმნებში თითქოს უჩვეულოა შე-
ზმნისწინის გამოყენება. აქ ალბათ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შე-
მთხვევაში შიგნით მიმდინარე პროცესი, შიდა მოქმედება გადმო-
ციემა. ეს გასაგებია, როდესაც შე-იგრძნო, შე-იმეცნა, შე-ისისხლხორცა
ზმნების მნიშვნელობას განვიხილავთ, მაგრამ ცოტა უჩვეულოა შე-
ზმნისწინის გამოყენება საპირისპირო მოქმედების ზმნებში. ჩვენ-
თვის ცნობილია, რომ მო-იგებს, წა-აგებს, მი-სცემს, გა-სცემს ზმნებ-
ში განსხვავებული მნიშვნელობები გადმოცემულია განსხვავებული
ზმისწინებით, მაგრამ ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში ამას ერთი
და იგივე ზმნისწინი აკეთებს. აქ ალბათ მაინც უნდა ვიგულისხმოთ
გარედან შიგნით, სიღრმისკენ მიმართული მოქმედება.

დაბოლოს, თითქოს მოულოდნელობა იყო ჩვენთვის, რომ
ქართული ენის დიალექტებისა და მეტაენის კორპუსებზე მუშაობის
შედეგად თვალსაჩინო გახდა, რომ შე- ზმნისწინით საკმაოდ ხშირია
ოდნაობის, სიცოტავის სემანტიკის გამოხატვა. ასეთი ზმნები საკმა-
ოდ ბევრია თანამედროვე ქართულში. გამოდის, რომ როგორც შე-
ზმნისწინი ზმნებში ძირითადად გარედან შიგნით მიმართულ მო-
ქმედებას გამოხატავს, ასევე მისთვის ერთ-ერთი ძირითადია ოდნა-
ობის, სიცოტავის სემანტიკის აღნიშვნა. ეს ფუნქცია შე- ზმნისწინ-
თან რომ ფართოვდება, ამაზე ყურადღება გამახვილებული აქვს
გ. გოგოლაშვილსაც.

ზ ა ა ლ კ ი კ ვ ი ძ ე

ტოლად შერწყმული კომპოზიტები და კომპონენტთა რიგის შექცევადობის პრობლემა ქართულში

შერწყმული (შეერთებული) კომპოზიტი წარმოადგენს კოორდინაციულ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციას, რომლის შემადგენელი ფუძეები განეკუთვნებიან ერთსა და იმავე მეტყველების ნაწილს, ძირითადად ინარჩუნებენ თავიანთ ლექსიკურ მნიშვნელობებს და მათ შორის იწერება დეფისი, რომელიც სემანტიკური ფუნქციის მატარებელია, რადგანაც იგი და კავშირის (ან სხვა მართებული კავშირის) ბადალია. რაც შეეხება შექცევადს, ასეთად იწოდება ის ტოლად შერწყმული კომპოზიტი, რომლის კომპონენტები (შემადგენელი ფუძეები) შეიძლება დალაგდეს სხვადასხვა თანამიმდევრობით, ე.ი. როგორც X-Y, ასევე Y-X (ლომანი). აღნიშნული საკითხი ორგანულადაა დაკავშირებული კომპონენტთა რიგის განმსაზღვრელ კანონზომიერებათა დადგენის, ცალკეული კომპოზიტის რაობისა და, შესაბამისად, მართლწერის პრობლემებთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში იშვიათად თუ წავაწყდებით მსჯელობას კომპონენტთა რიგის შექცევადობის შესახებ. ერთ-ერთ გამონაკლისს წარმოადგენს ბ. ფოჩხუას „ქართული ენის ლექსიკოლოგია“ (1974), სადაც ავტორი განიხილავს ზემოაღნიშნულ საკითხს მეტწილად ხმაბაძვითი მასდარებისაგან შედგენილი კომპოზიტების მაგალითებზე დაყრდნობით (*კვილი-წივილი//წივილ-კვილი, კნავილ-ჩხავილი//ჩხავილ-კნავილი, სიცილ-ფრუტუნი//ფრუტუნ-სიცილი*) და მიუთითებს, რომ „კომპონენტთა ადგილის შენაცვლებას გავლენა არ მოუხდენია კომპოზიტის მნიშვნელობაზე“ (ფოჩხუა), თუმცა მალევე დასძენს, რომ „ასეთი შენაცვლება ყოველთვის არ ხერხდება“ (იქვე: 102).

სწორედ ტოლად შერწყმული კომპოზიტის აგებულება და შესაბამისი მახასიათებლები განაპირობებს მისი კომპონენტების რიგის მდგრადობას; და მაინც, შექცევადი ტოლად შერწყმული კომპოზიტები არსებობს და მათ შესახებ სათანადო დასკვნებია გასაკეთებელი. შესაბამისი მასალა უნდა დავაჯგუფოთ შემდეგნაირად:

- 1) თავისუფალი შენაცვლება– $X-Y=Y-X$ (არ იწვევს არც მნიშვნელობისა და, შესაბამისად, კომპოზიტის რაობის ცვლილებას): *აბჯარ-აბგარი//აბგარ-აბჯარი, სასმელ-საჭმელი//საჭმელ-სასმელი, ლეიბ-საბანი/საბან-ლეიბი* და ა.შ.
- 2) $X-Y$ ტოლად შერწყმულია, ხოლო $Y-X$ მსაზღვრელ-საზღვრულის კომბინაციაა – $X-Y \neq Y-X$: *მკვდარ-ცოცხალი* (მკვდარი და ცოცხალი) – *ცოცხალმკვდარი* (სიკვდილის პირას მყოფი); ასევე ხდება სხვა შემთხვევებშიც: *ყველ-ხაჭო* (ყველი და ხაჭო) – *ხაჭოყველი* (კრემყველი) და ა. შ.
- 3) $X-Y$ ტოლად შერწყმულია, ხოლო $*Y-X$ არ წარმოადგენს კომპოზიტს: *ნარ-ეკალი* (ნარი და ეკალი) – *ეკალნარი* (ეკლიანი ადგილი); აქ *ნარ-* არის არა ფუძისეული, არამედ სიტყვამაწარმოებელი მორფემა, „რომელიც დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს (უპირატესად – მცენარეთა სახელების ფუძეს) და გამოხატავს კრებითობას, ერთობლიობას“ (ჯორბენაძე).

მაშასადამე, თუკი მოცემული თხზული კონსტრუქცია ნამდვილად ტოლად შერწყმულია, მაშინ მის კომპონენტებს შორის უნდა აღდგეს და კავშირი ორივე რიგის შემთხვევაში და არ შეიცვალოს მათი მნიშვნელობა (იგულისხმება როგორც ცალკეული კომპონენტის, ისე მთლიანი კონსტრუქციის მნიშვნელობები); თუკი რომელიმე რიგის ფარგლებში მაერთებელი კავშირი არ აღდგება, მაშინ საქმე გვაქვს ან სხვა ტიპის კომპოზიტთან (ძირითადად დეტერმინაციულთან; მაგ., *ხაჭოყველი*) ან ერთგვარ „ცრუ შექცევადობასთან“, რაც იმას ნიშნავს $*Y-X$ საერთოდ არ წარმოადგენს კომპოზიტს (მაგ., *ეკალნარი*). რასაკვირველია, ეს გარემოებები შესაბამისად უნდა აიხახოს მათს მართლწერაშიც.

ზემოაღნიშნული კიდევ ერთი დადასტურებაა ჩვენ მიერ უკვე არაერთგზის გამოთქმული მოსაზრებისა, რომ ქართულ ტოლად შერწყმულ კომპოზიტებში კომპონენტთა რიგს მეტწილად პროსოდიული ფაქტორები განსაზღვრავს, რაც არ გამორიცხავს სემანტიკური ფაქტორების პოზიტიურებასაც გარკვეულ შემთხვევებში.

მოხსენებაში წარმოდგენილი დებულებები ეყრდნობა როგორც ლექსიკოგრაფიულ, ასევე კორპუსულ მასალებს.

მ ა ნ ა ნ ა კ ო ბ ა ი ძ ე

ზმნის წარმოება ახალნასესხები ძირებისგან თანამედროვე ქართულში ტიპოლოგიური თვალსაზრისით

მოხსენებაში განხილულია ზმნების წარმოება ახალნასესხები ფუძეებისგან. მოხსენება არ ეხება ნორმის საკითხებს. ტერმინი სესხება გამოყენებულია ზოგადი მნიშვნელობით და მოიცავს ე.წ. ბარბარიზმებსაც. ვეყრდნობით ნასესხები ზმნების შესახებ ვიკმანისა და ვოლგემუთის (2005) კლასიფიკაციას, რომლის მიხედვითაც ზმნის სესხებისას გამოიყოფა მიმდებ ენაში ინტეგრაციის ოთხი გზა: 1. ადვილი ზმნის სტრატეგია (ზმნის საწყისს ემატება ყოფა, კეთება, ან რომელიმე სხვა ზმნის პირიანი ფორმა), 2. ზმნის გაშუალებული ჩართვა ენის სისტემაში დამატებითი აფიქსის მეშვეობით, ასეთი აფიქსი ხშირად თვითონაც ნასესხებია, ასეთია -ირ სუფიქსიანი წარმოება ქართულში: ფორმირება, სტიმულირება... 3. ნასესხები ძირის უშუალო ჩართვა ზმნის უღლების სისტემაში რაიმე დამატებითი დამხმარე აფიქსაციის გარეშე. 4. პარადიგმის გადაცემა: დონორი ენის ზმნა რეციპიენტ ენაში ინარჩუნებს აფიქსებს და მათ ფუნქციასაც. ასეთი ნასესხობა ქართულში არ დასტურდება.

სესხების პირველი გზის შემთხვევაში ზმნა შემოდის ენაში როგორც ბრუნებადი სიტყვა, მაგალითად, საწყისი, და მას ემატება ზმნური ნაწილი, ანუ „ადვილი ზმნა“. ქართულში ეს სტრატეგია გავრცელებულია ფორმალურ მეტყველებაში, მაგრამ შეიმჩნევა ენის არასრულყოფილად ფლობის პირობებშიც, მაგალითად, უცხოენოვან ან თუნდაც ქართულ ზმნას საწყისის სახით ჩაურთავენ წინადადებაში და დაამატებენ გაკეთება-ზმნის სათანადო პირიან ფორმას (*წასვლა უნდა გავაკეთო, ნაცვლად ზმნური ფორმისა უნდა წავიდე*).

განსაკუთრებით საინტერესოა სესხების მესამე კატეგორია. აღმოჩნდა, რომ ნასესხები ძირის ფონეტიკური ადაპტაციის შემდეგ ზმნის ყალიბის არჩევანს საყრდენი ძირის მარცვალთა რაოდენობა განაპირობებს. მნიშვნელობა არა აქვს, თუ მეტყველების რა ნაწილია

საყრდენი ძირი. დადასტურდა პირველი ტიპის უღლების ორი მოდელი:

- მოდელი 1. **ა-R-ებ, ძირი ერთზე მეტ მარცვალს** შეიცავს: *აჰა-იდებს, ალაიქებს, აფორვარდებს, აჰაჰავეებს...*

- მოდელი 2. **R-ავ, ძირი ერთმარცვლიანია:** *სინავს, ტროლავს, ბუსტავს, თაგავს...*

ოგივე კანონზომიერება ჩანს სხვა ენებიდან ნასესხები ფუძეების შემთხვევაშიც, მაგალითად, *დამზაიხერებული მაქვს* (დამახსოვრებელი), *მოკობვა* (სადილის მომზადება), *დღეს მე მოვკობე* (გერმანიის ქართული სათვისტომო, ფბ ჯგუფი), *დაბუკვა* (*ვიზიტი დავბუკე*, შვედეთის ქართველები)... მსგავსი, მაგრამ არა ასე უგამონაკლისოდ ერთგვაროვანი წარმოება შეინიშნება შედარებით ადრე რუსულიდან შემოსული ძირებისგან ნაწარმოებ ზმნებშიც (*გასროკავს, გატრუპავს, აიასნებს, აიზმენებს...*). თუმცა არის გამონაკლისებიც: *აპრავებს* და არა **პრავავს, აჩმორებს* და არა **ჩმორავს...* ამგვარად, ადრინდელ წარმოებაში ა-ძირი-ებ მოდელი ერთმარცვლიან ძირებთანაც გვხვდება, თუმცა ერთზე მეტმარცვლიანი ძირისგან -ავ-თემის-ნიშნის წარმოება ვერც ძველ მასალაში დავადასტურეთ.

ფუძის ფონემატური აგებულება, როგორც აფიქსაციის არჩევანის განმაპირობებელი ფაქტორი, ქართული ენის მორფოლოგიის სხვა სფეროებშიც შეინიშნება. ნასესხები ფუძეებისგან ზმნის წარმოების წესი ამ საერთო ტენდენციის ერთ კერძო შემთხვევად უნდა ჩაითვალოს.

მოხსენებაში განიხილება ნასესხები ფუძეებისგან ნაწარმოებ ზმნებთან ზმნისწინის გამოყენების საკითხიც, როგორც ამ ნასესხობების სპეციფიკური სემანტიკური ველით განპირობებული არჩევანი.

ნ ა ნ ა ლ ო ლ ა ძ ე

კომპოზიტები ქართული ენის სახელური ფუძეების ლექსიკონში

ქართული ენის სახელური ფუძეების ლექსიკონი მოიცავს სრულ ინფორმაციას სახელური სიტყვაწარმოების შესახებ, რომელშიც, სახელური ფუძეების გარდა, მონაწილეობენ ფორმაუცვლელი სიტყვები და ნასესხები ფუძე-ელემენტებიც. ეს შეეხება როგორც აფიქსაციას, ისე კომპოზიციას.

საგანგებოდ გვინდა გამოვყოთ რთული სიტყვების რამდენიმე ჯგუფი, კერძოდ: 1. ე. წ. „ჰიბრიდული კომპოზიტები“, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი უცხოურიდან ნასესხები ფუძეა: *რადიომსმენელი*, *ჰიდროთვითმფრინავი* და მისთ.; 2. რთული სიტყვები, რომლებიც უცხოური წარმომავლობის, ჩვეულებრივ, ბერძნულ-ლათინური ელემენტების დართვით მიიღება: *ულტრამოკლე*, *ინფრაწითელი* და მისთ. 3. რთული სიტყვები, რომლებიც ზედმიწევნით თარგმნითი ეკვივალენტებია. ამგვარი სიტყვების შემადგენელი კომპონენტები ქართული ფუძეებია, თუმცა უცხოური რთული სიტყვების თარგმანს წარმოადგენს, მათი კალკია: *ზეკაცი*, *თვითმპყრობელი* და მისთ.

ბესარიონ ჯორბენაძის მიერ შემუშავებული პრინციპების მიხედვით ყველა ამ ტიპის კომპონენტის შემცველ რთულ სიტყვას ლექსიკონში კომპოზიტის კვალიფიკაცია აქვს. უფრო მეტიც, ეს ნასესხები თუ ზედმიწევნითი თარგმანისათვის გამოყენებული კომპონენტები სალექსიკონო ერთეულებად არის გამოტანილი ე.წ. „ფარული ფუძეების“ სახით.

ლექსიკონის გამოსაცემად მომზადებისას აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ამ სიტყვების სალექსიკონო ერთეულებად გამოტანის საკითხმა. კომპოზიტების ამ ტიპის წარმოება ასე ფართოდ არ იყო გავრცელებული და, ბუნებრივია, განმარტებით ლექსიკონშიც მცირე რაოდენობით იყო წარმოდგენილი. კომპრომისული გადაწყვეტილებით ეს კომპონენტები გამოქვეყნებულ ლექსიკონში მოცემულია კომპოზიტის შემადგენელი ფუძეების გრაფაში იმ სახელთან, რო-

მელსაც დაერთვის, მაგრამ, განსხვავებით სხვა ფუძემდებლისაგან, ის სალექსიკონო ერთეულთა ჩამონათვალში არ არის შეტანილი.

თანამედროვე ქართულში ინგლისური ენიდან სესხებისა და ადრეული ნასესხობების გააქტიურების შედეგად ჰიბრიდული რთული სიტყვების შექმნის ძლიერი ტენდენცია გამოიკვეთა. ეს ენობრივი რეალობა კვლავ აქტუალურს ხდის რთული სიტყვების კვალიფიკაციის ბესარიონ ჯორბენაძისეულ მიდგომებსა და პრინციპებს.

თ ა მ ა რ ლ ო მ თ ა მ ე

ბესარიონ ჯორბენაძე – ახალი საენათმეცნიერო და ინტერდისციპლინარული მიმართულებების ფუძემდებელი საქართველოში

ბესარიონ ჯორბენაძის მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა, მართალია, ძირითადად ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის ღრმად შესწავლას ეძღვნება; მაგრამ ამავე დროს იგი უხვად მოიცავს მასალას, რომლებიც ახალი საენათმეცნიერო დარგებისა და მიმდინარეობების გაცნობასა და დამკვიდრებას ემსახურება ჩვენში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დასავლურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან უხვად გამოჩნდა კვლევები, რომლებიც ლინგვისტიკის ახალ მიმართულებებს დაედო საფუძვლად. ამგვარ დარგებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სოციოლინგვისტიკა, რომლის ფარგლებში კიდევ რამდენიმე ახალი მიმართულება (ენობრივი პოლიტიკა, სოციალური დიალექტოლოგია, ქალაქის ენა და სხვა) აღმოცენდა და განვითარდა; კომპიუტერული ლინგვისტიკა, რომელიც კორპუსის ლინგვისტიკისა და საერთოდ, დიგიტალური ჰუმანიტარიის განვითარებას დაედო საფუძვლად; ლინგვოკულტუროლოგია, რომელმაც მოიცვა ეთნოლინგვისტიკისა და კოგნიტიური ლინგვისტიკის საკითხები და ა. შ.

ქართული ენათმეცნიერება ამ პერიოდში საბჭოთა ენათმეცნიერების ნაწილი იყო და ძირითადად დასავლურ ლინგვისტურ სიახ-

ლევებს რუსული თარგმანებით ეცნობოდა. მეოცე საუკუნის საბჭოთა ლინგვისტიკა სტრუქტურალიზმს ანიჭებდა უპირატესობას და ტრადიციული კვლევებს გვერდით ახალი დარგების განვითარება შედარებით წელა მიმდინარეობდა. მათ შესახებ ლიტერატურა ქართულად ძალიან მცირე რაოდენობით იყო.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ბესარიონ ჯორბენაძე როგორც ახალი სალექციო კურსების დანერგვით, ასევე კვლევითი საქმიანობით ცდილობდა ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებისათვის და სტუდენტებისათვის მიეწოდებინა მსოფლიო ლინგვისტიკის სიახლეები. სწორედ ამგვარად შეიქმნა სალექციო კურსი „ენა და კულტურა“ (გამოიცა 1997 წელს, თუმცა ბ. ჯორბენაძემ პროგრამა კურსისა „ენა და კულტურა“ 1980 წელს წარუდგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრას და იმავე წელს წაიკითხა სალექციო კურსი), მონოგრაფიები: „ქართული დიალექტოლოგია“ (1989), „ქართველურ ენათა დიალექტები“ (1995), „პოეზიის ენა“ (1999), „ბალავარი მწერლობისა“ (1987), „ქართული ენის ფაკულტატიური მორფოლოგია“ (1985) და სხვა შრომები. აღნიშნულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებში უხვადაა წარმოდგენილი დასავლელ მეცნიერთა კვლევების ძირითადი შედეგები, რომლებიც საფუძვლად დაედო საქართველოში ხშირ შემთხვევაში სოციოლინგვისტურ, ლინგვოკულტუროლოგიურ, დიგიტალური ჰუმანიტარიისა და სხვა დარგების შრომებს.

ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე

ბესარიონ ჯორბენაძე ენობრივი მნიშვნელობების გამომხატველ ფაკულტატიურ საშუალებათა შესახებ

ენა, როგორც ნებისმიერი სხვა სისტემა, გარკვეულ წესრიგს გულისხმობს, რომელიც სისტემის ელემენტთა გეგმაზომიერ განლაგებასა და ურთიერთკავშირს ეფუძნება. თუმცა ენაში, დადგენილ კანონზომიერებათა გვერდით, მოულოდნელ, „არაწესიერ“ მოვლენებ-

საც ვხვდებით, რომლებსაც ისევე სჭირდება შესწავლა და ენის საერთო სისტემაში კუთვნილი ადგილის მიჩენა, როგორც მისაღებად და სავალდებულოდ კვალიფიცირებულ ენობრივ ერთეულებსა თუ მოვლენებს.

აღნიშნულ მიზანს ემსახურება ბ. ჯორბენაძის მონოგრაფია „ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები“, რომელშიც განხილულია ენის ყველა დონეზე (ფონეტიკურ, მორფოლოგიურსა და სინტაქსურ დონეებზე) გამოვლენილი იმგვარი შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ენობრივი მნიშვნელობის გამოსახატავად უჩვეულო ფორმებია გამოყენებული. „უჩვეულო“ და „მოულოდნელო“, თავის მხრივ, „არაძირითადას“ და „გამონაკლისს“ უკავშირდება, თუმცა ამ „გამონაკლისებსაც“ ენის ბუნება, მისი შინაგანი შესაძლებლობები განაპირობებს თუნდაც იმიტომ, რომ მათ ძირითად თავისებურებას ისევე იმავე ენის ფორმოზომიერი ინვენტარის სპეციფიკური გამოყენება ქმნის.

ენის დინამიკაზე დასაკვირვებლად, მის შესასწავლად მისსავე მოქმედებაში, სტაბილურთან ერთად, უმნიშვნელოვანესია ლაბილური მონაცემების გათვალისწინება, რომელთა აღსანიშნავად ბ. ჯორბენაძე ტერმინ „ფაკულტატიურს“ ირჩევს და დასძენს, რომ ფაკულტატიურობის განსაზღვრისას დროის ფაქტორია არსებითი – ენობრივი მონაცემის გამოყენება ფაკულტატიურად შეიძლება შეფასდეს ენის ფუნქციონირების მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტული პერიოდის და არა ენის განვითარების ყველა საფეხურისათვის. მეცნიერი ფაკულტატიურობის არსის ნათელსაყოფად იმგვარ ოპოზიციებს განიხილავს, რომლებშიც მნიშვნელობათა გამოხატვის ფაკულტატიური საშუალებები შეპირისპირებულია ფორმანტთა რეინტერპრეტაციასთან, მნიშვნელობათა გამოხატვის ისტორიულ ვითარებასთან, მნიშვნელობათა მეტაფორულ გააზრებასთან, ვარიაციულობასთან და სხვ.

ენობრივ (ლექსიკურ და გრამატიკულ) მნიშვნელობათა გამომხატველ ფაკულტატიურ საშუალებათა შორის მონოგრაფიაში გაანალიზებულია ფორმათმაწარმოებელი სუფიქსების სიტყვათმაწარმოებელი ფუნქციით გამოყენების შემთხვევები, ნაჩვენებია პირის ნიშნის მორფოლოგიურად უმართებულო ხმარებისა (**თვლ-ი-ს** – ‘რისამე რაოდენობას არკვევს’, **ჩა-თვალ-ა** – ‘მიათვალა’; **ს-თვლ-ი-ს** –

‘შიაჩნია, ჰგონია’, **ჩა-ს-თვალ-ა** ‘შიაჩნია’) და ზმნისწინის მიმართ მისი პოზიციის (**ჩა-დი-ს** – ‘ზევიდან ქვევით მიემართება’, **ს-(ჩა)დი-ს** – ‘აკეთებს, იქმს რასმე’) გააზრება როგორც ლექსიკური მნიშვნელობის განმასხვავებელი ხერხისა. შესწავლილია ფონეტიკურ პროცესთა, ზმნისწინთა, გვარისა და ქვევის, მიმღეობათა და მასდართა ფორმების უჩვეულო დანიშნულებით აღჭურვის მაგალითები.

ნაშრომში გაერთიანებული მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ენა ამა თუ იმ მნიშვნელობის გამოსახატავად იყენებს არსებულ ფორმობრივ ინვენტარს, მაგრამ მისი გამოყენებისას არ მისდევს მოცემული ეტაპისათვის დადგენილ წესებს, რაც, თავის მხრივ, იმის შესაძლო პირობაა, რომ „ერთი პერიოდისათვის ფაკულტატიური მოვლენა ენის განვითარების სხვა საფეხურზე იმავე ლექსიკური თუ გრამატიკული მნიშვნელობის გამოხატვის ძირითად საშუალებად იქცეს“.

ზ ა ქ ა რ ი ა ფ უ რ ც ხ ვ ა ნ ი ძ ე


კორპუსულ მონაცემებზე ორიენტირებული დიალექტომეტრია (შესამღებლობები და მისი გამოყენების სცენარები ქართულში)

სტრუქტურალისტური დიალექტოლოგიის სათავეებთან (Weinreich, Labov, Séguy, Goebel) იმთავითვე განიხილებოდა კვანტიტატური (რაოდენობრივი) მეთოდით ენობრივი დიასისტემების კვლევის იდეა, რომელიც მოგვიანებით ტექნიკური ცნებით - დიალექტომეტრია აღიწერა. მოგვიანებით მასიური ენობრივი მონაცემების კორპუსში ასახვაზე რეაქციას წარმოადგენდა „Corpus-based dialectometry“ (Szmrecsanyi).

ლევენშტაინის მარტივი დისტანციის გამოთვლას დაერთო ლევენშტაინის ე.წ. weighted Levenshtein distance (WLD). ამ შემთხვევაში მხოლოდ სიმბოლოებს შორის განსხვავება კი არ იზომება, არამედ ყურადღება ენიჭება ამ სიმბოლოების სტატუსს, მათ „წონას“

(weight). მაგალითად, ენობრივი დისტანცია წყვილს შორის „სახლი“ vs. „დახლი“ აღიწერება ინდექსით „1“, მაშინ როცა „სახლ-ს“ vs. „სახლ-ღ“ წყვილის შემთხვევაში განსხვავება მიმართულია მორფოლოგიური კატეგორიის ნიშანზე და ამიტომ დისტანციის ინდექსი გაცილებით მაღალია.

ლევენშტაინის დისტანცია თვალსაჩინო ხდება ერთი ლექსემის „ბავშვი“ დიალექტური ვარიანტების ბაზაზე:




ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ დიალექტომეტრიული მეთოდით ქართული ენის დიალექტების და ზოგადად ქართველური ენების (ქართოსფეროს) კვლევა ეფექტურადაა შესაძლებელი განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა აღარ არსებობს ციფრული დიალექტური მონაცემის დეფიციტი.¹ ფრანკფურტის გეოთეს უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის ციფრული ჰუმანიტარიის ჯგუფის მიერ Google CoLab-ის ფარგლებში აიგო დიალექტომეტრიული გაზომვის ავტომატური პროგრამული აგრეგატი. აგრეგატი წარმოადგენს ღია რესურსს და მისი გამოყენება შეუძლია ნებისმიერ მკვლევარს. ლევენშტაინის დისტანციის ბაზაზე დიალექტომეტრიული გაზომვების წარმოება და მათი გეოგრაფიული კორელაციის დადგენა დღესდღეობით ავტომატიზებულია და გადატანილია ციფრულ პლატფორმებზე.

საბოლოო შედეგი ახლებური დიალექტური რუკის შედგენაა, რომელიც ლევენშტაინის ინდექსის გეოგრაფიულ შესაბამისობას (გეო-კორესპონდენციას) ასახავს შეფერადების საშუალებით. ამგვარ-

¹იგულისხმება Georgian Dialect Corpus ისევე, როგორც Georgian National Corpus მისი მეგრული და სვანური ენების ქვეკორპუსებით Kartvelian Languages.

რი რუკები შედგენილია ბრიტანული ინგლისურის, ფრანგული (სურათი 12) და გერმანული ენებისათვის.

ფრანგულის დიალექტური კონტინუუმისა და ბრიტანული ინგლისურის კლასტერული რუკები:



თვითონ პროგრამული აგრეგატებისათვის „სულერთია“ ენობრივი მასალის წარმომავლობა მანამ, სანამ მასალა აბეჭდილია Unicode-ში და „წაკითხვადია“ პროგრამული კოდისათვის. ქართველოლოგიურ რეალობაში არსებული ციფრული ენობრივი ბაზების აბსოლუტური უმრავლესობა აგებულია აქტუალურად მიღებული Unicode-ის ფარგლებში და რეალურად მზადაა ზემოთ აღწერილი გამოთვლების მსგავსი ოპერაციებისათვის. სწორი დაგეგმვისა და ციფრული ენობრივი მონაცემების წინასწარი სტრუქტურირების პირობებში მოკლე გზა ისახება ქართული (ქართველური) ენის (ენების) სრულიად ახლებური და რეალობასთან ადეკვატური დიალექტური რუკების შედგენისაკენ. ამგვარი გეგმის კონტურის ერთგვარ მცდელობას წარმოადგენს მოცემული ტექსტიც.

რ ა მ ა ზ ქ უ რ დ ა ძ ე

ბესარიონ ჯორბენაძისეული საერთო ეროვნული ენის ცნება – ქართული დიალექტების სრულყოფილი შესწავლის საფუძველი

დიალექტის თუ დიალექტების სრულყოფილად შესწავლისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმის განსაზღვრას, თუ რას წარმოადგენს დიალექტი ენობრივი თვალსაზრისით. არის იგი დამოუკიდებელი ენობრივი სისტემა, თუ დიალექტი ამა თუ იმ სისტემის ქვესისტემაა? და თუ ასეა, რისი ქვესისტემაა? თუ ამა თუ იმ კუთხის მეტყველების თავისებურებათა ერთობლიობაა.

ამ საკითხის გადასაწყვეტად ბ. ჯორბენაძე ქართული დიალექტების ფორმაწარმოებათა მოდელებს განიხილავს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ქართულ კილოებში (თუ უცხო ენის გავლენა გამორიცხულია) ერთი და იმავე მოდელების ნაირსახეობები გვხვდება.

სწორედ ამის საფუძველზე ბესარიონ ჯორბენაძემ ჩამოაყალიბა **საერთო ეროვნული ენის ცნება** და მის ნაირსახეობად მიიჩნია დიალექტი: „დიალექტი არის საერთო ეროვნული ენის ნაირსახეობა და არა დამოუკიდებელი ენობრივი სისტემა“ (ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989, გვ. 16). მაშასადამე, ბ. ჯორბენაძის აზრით, დიალექტი საერთო ეროვნული ენის ნაირსახეობაა და, შესაბამისად, არა სალიტერატურო ენისა, რადგან სალიტერატურო ენა თავადაა ეროვნული ენის ნაირსახეობა – წიგნური ნაირსახეობა. ბ. ჯორბენაძის მიხედვით: „საკუთრივ ამ ნაირსახეობათა ერთობლიობა წარმოადგენს კიდევ ამ ეროვნულ ენას“(იქვე).

ბ. ჯორბენაძისეული **საერთო ეროვნული ენის ცნების** მიხედვით, ფაქტობრივად, ყველა ენობრივ (ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ლექსიკოლოგიურ) დონეზე შეისწავლება დიალექტური თავისებურებები. ამგვარი მიდგომა, რომელიც ბ. ჯორბენაძემ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში შემოგვთავაზა, ჩვენი აზრით, დღემდე ერთადერთ სწორ და სავსებით გამართლებულ მიდგომად რჩება დიალექტების შესწავლის საქმეში.

მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი

წურ- და წულ- ძირ-მორფემათა ფუნქციური სემანტიკისათვის ქართულში

I. მოხსენებაში განიხილება **წურ-** და **წულ-** ძირ-მორფემებით წარმოებულთა ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის საგანგებო ფუნქციურ-სემანტიკური მოტივირების საკითხი ამ ბუდის შემადგენელი ძველქართული ლექსემებისა:

ძვ. ქართ. ლექსიკური ერთეული	სემანტიკა (სულხან-საბა ორბელიანი, ილია აბულაძე, ზურაბ სარჯველაძე)
წული	„(34,24 დაბად. ZA) ვაჟი; რომელ არს სიმხნე და ახოვნება გონებისა (დიონოსი 8,108)“
წულელა, წულიღვა / წურიღვა	„გამოძიება“
წულილი, წურილი, წრგლი, მწულილი	„მცირე, წვრილი, დაწვრილებული; ვიწრო; «საჭირველი», მჭლე; ხურდა; ნელი; მძიმე“
წულილ-მოგონება	„(20,10 იერემ.) ფიქრი“
მიმოწულიღვა, მიმოწვლიღვა	„(2 თესალ. 3, 11) ცუდი გამოძიება; ხეტიალი“
წურთა, წურთიღება, წურთილი	„წვრთნა, სწავლა, დასჯა, «გუემა», დასჯილი, გაწვრთნილი, გამოცდილი“

II. რწმენისა და ცოდნის გაერთიანების საუკუნოვანი წესის მომარჯვებითა და ეკლესიის წმიდა მამათა ეგზეგეტიკურ თარგმანებაზე დაყრდნობით, შესაძლებელი ხდება საგანგებო სემანტიკური ფუნქციონირების იმ კონკრეტული საღვთისმეტყველო წანამძღვრე-

ბის მოხმობა, რისი მეოხებითაც სარწმუნოდ განისაზღვრება საანალიზო ლექსემათა ქართულენობრივი არჩევანი.

ამ მიზნით გაანალიზდება **წურ-** და **წულ-** ძირ-მორფემებით წარმოებულთა (უწინარესად, ძვ.ქართ. ცნება-ტერმინთა: **წული, წულელა, წულილვა/წურილვა, მიმოწულილვა/მიმოწვლილვა, წულილ-მოგონება**) უაღრესად საგულისხმოდ აღბეჭდილი მამოდრავებული ძალა – მათი თავდაპირველი **ქრისტიანული რჯულისმიერი - ფუნქციური სემანტიკა**.

ნ ი ნ ო ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე , მ ა რ ი ა მ კ ი კ ო ნ ი შ ვ ი ლ ი

სიმცირის სემანტიკის გამომხატველი ზედსართავი სახელები ქართულში

მოხსენება შეეხება სიმცირის სემანტიკის გამომხატველ ზედსართავ სახელებს ქართულში, კერძოდ კი, რამდენიმე მათგანს, რომლებიც მოცულობის, ზომის, ასაკისა და რაოდენობის მიხედვით საგნის ან მოვლენის სიმცირის გამოხატავად ყველაზე ხშირად გამოიყენება თანამედროვე ქართულში; ესენია: **პატარა, მცირე და ცოტა**. მათი გავრცელებულობის თვალსაზრისით განსხვავებული სურათი გვაქვს ძველქართულ ტექსტებში. საინტერესოა ამ მხრივ ენაში მომხდარი ცვლილებებისათვის თვალის გადევნება. მოხსენებაში წარმოდგენილი მასალა, ვფიქრობთ, საყურადღებო და მნიშვნელოვანი იქნება სიმცირის აღმნიშვნელი სახელების ლექსიკური ველის შესასწავლად.

**ლელა ჩოთალიშვილი, ნანა ხოჭოლავა-
მაჭავარიანი, ნინო ჯორბენაძე,
იამზე გაგუა**

**ტოპონიმია, როგორც ისტორიულ-კულტურული
ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტური
მასალა (ასტიონიმი „კუტაია/ქუთაისი“) და
საბერძნეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი
ურთიერთობის ასპექტები**

ტოპონიმია, ზოგადად, ენათმეცნიერებისა და, მათ შორის, ქართველოლოგიური ენათმეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. ტოპონიმებში არაერთი პრობლემის გასაღები დევს. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ, მაგალითად, იყო მცდელობა, „ტოპონიმებში შემორჩენილი უჩვეულო ბგერათკომპლექსების საფუძველზე აღედგინათ გამქრალი ენისა თუ დიალექტის ფონემატური სტრუქტურა (ბ. ჯორბენაძე, „ონომასტიკური გულანი“, 1993 წ.).

მოხსენებაში თვალნათლივ არის ნაჩვენები, რომ ერთი ტოპონიმის, კერძოდ, ქალაქის (**კუტაია/ქუთაისი**) სახელის (**ასტიონიმის**) ეტიმოლოგიური კვლევების შედეგად მიღებული დასკვნები კარგად წარმოაჩენს არა მხოლოდ ლინგვისტური ანალიზის საინტერესო პერიპეტებს, არამედ ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხების უძველესი ისტორიის, კულტურის მნიშვნელოვან ასპექტებსაც.

იმისათვის, რომ უფრო თვალნათელი გახდეს, თუ რამდენად შორს მიმავალია ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხებისა და კავკასიის გეოგრაფიულ სახელებს შორის მიმართებები და იმის დასადასტურებლად, რომ პარალელთა არსებობა არ ეფუძნება მხოლოდ ფონეტიკურ მსგავსებას, მოხსენებაში ყურადღებას შევაჩერებთ ერთ კონკრეტულ ტოპონიმზე, რომელიც არგონავტების თქმულების უძველეს ვერსიებშიც დასტურდება და არ ემყარება ბერძნულ ეტიმოლოგიას. ეს სახელია -**Κύταια/Κυτᾶια**, რომელიც ელინისტური ეპოქიდან მოყოლებული სხვადასხვა ავტორთან მოიხსენიება როგორც ლეგენდარული, ასევე ისტორიული კოლხიდის მთავარ ქალაქად. საინტერესოა პარალელის გავლება ანტიკურ წყაროებში არაერთგზის მოხსენიებული, კრეტის ჩრდილოეთ სანაპიროზე მდებარე

ქალაქის სახელთან – **Κύτιον**. ამ ორ ასტიონიმს შორის კავშირი უდაო უნდა იყოს.

ამ და სხვა მაგალითების საფუძველზე მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ წინაბერძნულისთვის დამახასიათებელი სუფიქსური წარმოება თუ ბგერათმონაცვლეობის ტიპები ცხადყოფს გარკვეულ მიმართებას ქართველურ ენებთან, ხოლო წინაბერძნულ-ქართველური მიმართებები მხოლოდ უძველესი კავკასიურ-ანატოლიურ-ეგეოსური ურთიერთობების შედეგი კი არ არის, არამედ უფრო მეტად დაკავშირებულია იმ **მიგრაციასთან, რომელიც ძვ. წ. ა. III ათასწლეულში უნდა მომხდარიყო კავკასიიდან დასავლეთისაკენ, რასაც უნდა განეპირობებინა მძლავრი ქართველური კომპონენტის შეტანა ეგეიდაში.**

გარდა კვლევითი ნაწილისა, მოხსენებაში ასევე წარმოდგენილი იქნება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფორმალური თუ არაფორმალური სწავლებისათვის განკუთვნილი პროექტის მიმდინარეობისა და შედეგების ამსახველი მასალა – პროექტის პირველი ეტაპი სწორედ **ტოპონიმიკის, როგორც ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგის უკეთ გაცნობასა და მისი მნიშვნელობის ჩვენებას** გულისხმობს ზემოდასახელებული (და ასევე სხვა) მაგალითების საფუძველზე.

ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ნ ა რ გ ი ზ ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ქ ე თ ე ვ ა ნ რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, დ ი ა ნ ა ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი

საქართველოს ტოპონიმიის სწავლებისა და პოპულარიზაციის პერსპექტივები

ენობრივი მონაცემი ხშირად გადამწყვეტია ეთნოსთა ისტორიის, კულტურის, ყოფის თავისებურების, გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელოვანი დეტალების აღსადგენად, დასაზუსტებლად.

ამ მხრივ **ტოპონიმიას**, როგორც ენის ლექსიკის გამორჩეულ და თვითმყოფად სფეროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან **„ტოპონიმია** დამოუკიდებელ სისტემას ქმნის ენაში. დამოუკიდებელ სისტემას კი წარმოებისა და შინაგან მიმართებათა თავისი

წესები აქვს, შეპირობებული და შეხამებული ენის ზოგადი კანონ-ზომიერებების მიერ“ (**ბ. ჯორბენაძე, ტოპონიმთა კლასიფიკაციისათვის**, იკე, XXV, 1986). **ტოპონიმი** გეოგრაფიული ობიექტის ოდენ მშრალი სახელწოდება როდია; ის, ამავდროულად, მეტად ღირებულ (ხშირად ფასდაუდებელ) ინფორმაციას გვაწვდის ამა თუ იმ ტერიტორიაზე მოსახლე ეთნოსების ისტორიული წარსულის, განსახლების არეალის, მიგრაციის, ყოფისა და კულტურის რიგი დეტალების დასადგენად; უფრო სრულყოფილად, თვალსაჩინოდ აღსაქმელად.

ქართველოლოგიაში **ტოპონიმეიკას**, როგორც ენათმეცნიერების დარგს, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ღირებულება ამ მიმართულებით შექმნილი არაერთი სამეცნიერო ნაშრომი. მიუხედავად ამისა, მიღწეული შედეგებისა და მკვლევართა დასკვნების მნიშვნელობა ჯეროვნად არ არის გააზრებული, პრაქტიკაში დანერგილი საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში, თითქმის არ არის წარმოდგენილი სასწავლო პროცესში. ამდენად, ლექსიკის ეს უნიკალური, მრავლისმეტყველი და ფასდაუდებელი საგანძური დაუმსახურებლად ექცევა ჩრდილში.

მიგვაჩნია, რომ ამ და სხვა მიზეზთა გამო (უხეში და ხშირად, დანაშაულებრივი ჩარევები ტოპონიმთა ცვლილებებისას, მათი უმართებულო დაწერილობა, მივიწყება...) საკითხი მეტად საჭირობოტაო, იგი კომპლექსურ მიდგომასა და მრავალი მიმართულებით მუშაობას მოითხოვს.

ამ მიზნით სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან ერთად, პირველი პრაქტიკული ნაბიჯებიც გადავდგით: „**ტოპონიმებით დანახული საქართველო**“ - ეს არის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფორმალური თუ არაფორმალური სწავლებისათვის განკუთვნილი პროექტი, რომლის პირველი ეტაპი გულისხმობს ტოპონიმეიკის საკითხების გაცნობას პროექტული სწავლების მოდელებით.

ამჯერად წარმოვადგენთ ჩვენი მუშაობის ერთ-ერთ ასპექტს - **ტოპონიმები, როგორც დამხმარე მასალა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში საქართველოს ისტორიის სწავლებისას**. განვიხილავთ შემდეგ საკითხებს: 1. შიდა მიგრაციები და ტოპონიმია; 2. ტოპონიმთა ხელოვნური ცვლილებები, როგორც დამპყრობლური პოლიტიკის შედეგი; 3. ტოპონიმია ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის კონტექსტში (ქუთაისი-კუტაია).

ასევე წარმოვადგენთ აღნიშნული პროექტული სწავლების ნიმუშებსა და ჩატარებული მუშაობის პირველად შედეგებს.

დანართი

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების (1993 – 2023) მოკლე ანგარიში

„ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება“ დაარსდა 1993 წელს მეცნიერის მოწაფეების, მეგობარების, კოლეგებისა და გულშემატკივარების ინიციატივით.

„საზოგადოებამ“ უპირველეს მიზანად დაისახა ბ. ჯორბენაძის გამოუქვეყნებელ ნაშრომთა გამოცემა. ამისათვის: აღიწერა განსვენებული მეცნიერის არქივი; თავი მოეყარა და დალაგდა ხელნაწერები; განაწილდა საქმე და დაიწყო გამოსაცემად მომზადება.

და ქართული ენათმეცნიერება გამდიდრდა პირველხარისხოვანი სამეცნიერო შრომებით:

1. 1995 წელს გამოვიდა „ქართული ენის მორფოლოგია“; „პროგრამა-პროსპექტი“ (80 გვ.). აღსანიშნავია: ეს პროსპექტი დაედო საფუძვლად 2011 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოცემულ აკადემიურ კურსს – „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“ (ტ. I, სალიტერატურო ენა, 830 გვ.). ასევე: 2016 წელს გამოცემულ „ახალი ქართული ენის“ პირველ ორ ტომს (ტ. I – სალიტერატურო ენის მორფოლოგია, სახელი, 404 გვ.; ტ. II – სალიტერატურო ენის მორფოლოგია, ზმნა, 502 გვ.)

2. 1995 წელსვე გამოვიდა მონოგრაფია „ქართველურ ენათა დიალექტები“ (448 გვ.). ფაქტობრივად ეს გახლავთ პირველი კრებსითი მონოგრაფია ქართველური ენების დიალექტების ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის საკვანძო საკითხების შესახებ.

3. 1997 წელს დაიბეჭდა „ენა და კულტურა“ (202 გვ.). ბ. ჯორბენაძის სალექციო ჩანაწერები და ათიოდე რადიოგადაცემის გაშიფრული ტექსტი შეაჯერა მანანა კობაიძემ.

4. 1998 წ. დაისტამბა ჯორბენაძის „ქართული დიალექტოლოგიის“ II ტომი (675 გვ.). ამ ტომის მომზადება და გამოშვება გამოდგა ერთობ მძიმე სამუშაო რედაქტორ-გამომცემლებისათვის. წიგნში ქართული ენის დიალექტების ფონეტიკის კრებსითი ანალიზია მოცემული.

5. 1999 წელს გამოჩნდა „პოეზიის ენა“ (104 გვ.). ეს ბ. ჯორბენაძის ერთ-ერთი ბოლო ნაშრომია; იგი არის პოეტური ტექსტის (გ. ტაბიძის პოეზიის) ლინგვისტური ანალიზის ნიმუში.

6. ცოტა მოგვიანებით, 2014 წელს, დაისტამბა „სახელური ფუძეების ლექსიკონი“ (86ნ გვ.). თანავტორები ნანა ლოლაძე და მარინე კიკონიშვილი. ეს არის მე-4 წიგნი სერიისა „მორფოლოგიური ლექსიკონები“.

7. გარდა ამ წიგნებისა, დღემდე ბ. ჯორბენაძის გარდაცვალების შემდეგ 20-მდე სტატია დაიბეჭდა სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემაში...

* * *

ბ. ჯორბენაძის, ი. ქეშიკაშვილის, რ. ჭიკაძისა და გ. გოგოლაშვილის ინიციატივით დაფუძნდა და ტრადიციად იქცა თელავის უნივერსიტეტის, ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ბ. ჯორბენაძის საზოგადოების ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების („კლასიკოსთა გაკვეთილები“) გამართვა. დღემდე ჩატარდა 28 კონფერენცია. მსგავს ტრადიციას საქართველოში ანალოგი არ მოეძებნება! გამოქვეყნდა „კლასიკოსთა გაკვეთილებზე“ წაკითხულ მოხსენებათა ბიბლიოგრაფია.

* * *

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოებამ დააფუძნა და გამოსცა პერიოდული სამეცნიერო კრებული „საენათმეცნიერო ძიებანი“. (ესაა გაგრძელება ბ. ჯორბენაძის რედაქტორობით გამოცემული კრებულებისა – „ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები“, 1978; „ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან“, 1980; „საენათმეცნიერო ძიებანი“, 1983...); 2022 წელს გამოვიდა 43-ე ნომერი.

დაფუძნდა „ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების“ სამეცნიერო კონფერენცია. დღემდე გაიმართა 12-ჯერ. გამოქვეყნდა კონფერენციებზე წაკითხულ მოხსენებათა ბიბლიოგრაფია.

საზოგადოებამ გრიფით „აბიტურიენტის ბიბლიოთეკა“ მოამზადა და გამოსცა 30-მდე ბროშურა ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

ამავე საზოგადოების გრიფით გამოვიდა რამდენიმე წიგნი. ისინი მიეძღვნა ბ. ჯორბენამის ხსოვნას.

მომზადდა და 2003 წელს გამოიცა წიგნი „ბესარიონ ჯორბენაძე – პიროვნება, მეცნიერი, მოღვაწე“ (334 გვ.). აქ საკმაოდ სრულად არის წარმოჩენილი ბ. ჯორბენამის სამეცნიერო, პედაგოგიური, საორგანიზაციო და საზოგადოებრივი საქმიანობა.

* * *

ცალკე უნდა გამოვეყოთ გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“.

1995 წელს დაფუძნდა და დაიწყო გამოცემა გაზეთისა „ბურჯი ეროვნებისა“. სახელწოდება და დევიზი („უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა გახლავთ სამშობლო ენა“) იაკობ გოგებაშვილისაგან იქნა ადებული.

გაზეთის მიზანი იყო: სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობა; დადგენილი ნორმების პოპულარიზაცია-დაცვა; ენის სიწმინდეზე ზრუნვა; ქართული ენის ამაგდართა წარმოჩენა, მათთვის პატივის მიცემა; სანიმუშო წერა-მეტყველების წახალისება. გაზეთი აქტიურად თანამშრომლობდა პროფესორ-მასწავლებლებთან, საუკეთესო მოქართველებთან; აქვეყნებდა რეცენზიებს, გამოხმაურებებს, შენიშვნებს, რეკლიკებს... სულ გამოვიდა გაზეთის 29 ნომერი. 1998 წ. იანვრიდან „ბურჯი ეროვნებისა“ გადაკეთდა ყოველთვიურ ჟურნალად; გამოდიოდა 2006 წლამდე. სულ გამოიცა 96 ნომერი.